საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030196779979518

№ 01-1277/ო **30 / ოქტომბერი / 2018 წ.**

ინფექციების კონტროლისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოში ინფექციების კონტროლის ღონისძიებების კოორდინაციისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 მუხლის ,,ო" ქვეპუნტის, მე-19 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოში ინფექციების კონტროლის ღონისძიებების კოორდინაციისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საკოორდინაციო საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით სერგეენკო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომში - მინისტრი) საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მაია ლაგვილავა - მინისტრის მოადგილე, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ზაზა ბოხუა - მინისტრის პირველი მოადგილე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

დ) მარინა დარახველიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

ე) ნათია ნოღაიდელი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

ვ) მარინე ბაიდაური - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საკოორდინაციო საბჭოს მდივანი;

ზ) მზია ჯოხიძე - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

თ) ამირან გამყრელიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" (შემდგომში - ცენტრი) გენერალური დირექტორი, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ი) პაატა იმნაძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

კ) ხათუნა ზახაშვილი - ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

ლ) ლილე მალანია - ცენტრის ბიოუსაფრთხოებისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის, ზოგადი ბაქტერიოლოგიის სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

მ) დავით წერეთელი - ცენტრის ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლით და საკვებით გადაცემადი დაავადებების და პარაზიტოლოგიის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

ნ) ლია სანოძე - ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომელი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

ო) ტარიელ კაშია - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ სალიცენზიო პირობების დაცვის კონტროლის სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

2. საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში წევრის სტატუსით მონაწილეობა ეთხოვოთ:

ა) გიორგი ქურციკაშვილს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა, გადამდები დაავადებების პროგრამების კოორდინატორი;

ბ) ბეტ სკაგსს - ა.შ.შ.-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი;

გ) მარიკა გელეიშვილს - ა.შ.შ.-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა, უფროსი მრჩეველი, საველე ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიის სასწავლო პროგრამის დირექტორი;

დ) ნია გიუაშვილს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი, კლინიკა ,,მედიკლაბჯორჯიას“ ხარისხის მართვის დირექტორი;

ე) გელა არაბიძეს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური პროფესორი, სს „ბაზისის“ კლინიკური მენეჯერი;

ვ) ნესტან ტუკვაძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი, სს ,,ტუბეკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი;

ზ) მალვინა ჯავახაძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახ.კლინიკა სეფსისის“ პედიატრიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

თ) მაია ლომთაძეს - სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკული ცენტრის“ ექიმი-ინფექციონისტი;

ი) თინათინ გაბრიჩიძეს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური, გარემოს დაცვითი მმართველი;

კ) ხათუნა კლაუს - შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ინფექციის კონტროლისა და დეკონტამინაციის მენეჯერი;

ლ) ეკა მამალაძეს - შპს ,,ავერსის კლინიკის ქსელის“ ეპიდემიოლოგი;

მ) ლელა წაქაძეს - „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ეპიდემიოლოგი;

ნ) ნონა გოშაძეს - შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის საექთნო მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;

ო) ანა გემაზაშვილს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

პ) თეა ოშხერელს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ვეტპრეპარატების კონტროლის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

3. საკოორდინაციო საბჭოს ამოცანებია:

ა) საქართველოში სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციებისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე ინფექციების კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვა და მათი იმპლემენტაციის კოორდინაცია;

ბ) ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის კოორდინაცია და მონიტორინგი;

გ) რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისა და სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სრულყოფისთვის;

დ) ექსპერტთა წინადადებების განხილვა და სათანადო რეკომენდაციების მომზადება სამედიცინო დაწესებულებების მიერ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებულ ინფექციებსა და ანტიმიკრობულ რეზისტენტობაზე ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით.

4. საკოორდინაციო საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, სხდომის მოწვევის დროს და დღის წესრიგს განსაზღვრავს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე.

5. საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ეწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

6. კონკრეტული საკითხების აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარკვეული ღონისძიებების განხორციელებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია, შექმნას სამუშაო ჯგუფები, როგორც საკოორდინაციო საბჭოს წევრებისაგან, ასევე, მოწვეული ექსპერტებისა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლებისაგან.

7. საკოორდინაციო საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის საქმიანობის კოორდინაციას უზრუნველყოფს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა დანერგვის მიზნით საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 აპრილის №01-110/ო ბრძანება.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო